პროლეტარეებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

14 სექტემბერი კვირა 1969

ფასი 2 კაპ.

გამოცემის ნი-ე წელი

№ 214 (14514)

16—19 სექტემბერს მოსკოვში ეწყობა საქართველოს მეცნიერების ლენინური დღეები

14 სექტემბერი ტანკისტების დღეა

საბრძოლო და პოლიტიკურ მომზადებაში მოპოვებული წარმატებებით ხვდებიან თავიანთ დღესასწაულს ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის ტანკისტი-მეომრები.

• • •

სურათზე: სოციალისტური შეჯიბრების შუკურები, სხვადასხვა ეროვნების ტანკისტები (მარცხნიდან მარჯვნივ) უფროსი სერჟანტი ვ. კოვალიოვი, რიგითები დ. ცერცვაძე, პ. ბონდარი, ო. სარკისიანი, ა. კანბაროვი, სერჟანტი ბ. ბელოგოროდსკი.

ფოტომონტაჟი ე. ბარშახისა.

ბრძანება

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

№ 215

1969 წ. 14 სექტემბერი, ქ. მოსკოვი.

ამხანაგო არმიისა და ფლოტის მეომრებო!
ამხანაგო ტანკისტებო!
ამხანაგო სატანკო მრეწველობის მუშებო, ინჟინრებო და ტექნიკოსებო!
სატანკო ჯარების ვეტერანებო!

დღეს საბჭოთა ხალხი, არმიისა და ფლოტის მეომრები დღესასწაულობენ ტანკისტთა დღეს. ეს ტრადიციული დღესასწაული აღინიშნება ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის ფართოდ გაშლილი მზადების, სკკპ XXIII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელების პირობებში.

კომუნისტური პარტიის გარშემო მჭიდროდ შეკავშირებული საბჭოთა კავშირის მშრომელები გულდაჯერებით მიდიან წინ ლენინური კურსით კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ. დღითიდღე უფრო მძლავრი ხდება ჩვენი სამშობლო. ახალ მიჯნებს მიაღწია სოციალისტურმა ეკონომიკამ, უფრო სრულად კმაყოფილდება საბჭოთა ადამიანების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი.

ხელმძღვანელობს რა კომუნისტურ მშენებლობას, ჩვენი პარტია ითვალისწინებს რთულ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებას, რომელიც გამოიწვია იმპერიალიზმის აგრესიულმა მოქმედებამ, განუწყვეტლივ ზრუნავს საბჭოთა სახელმწიფოს უშიშროების განმტკიცებისათვის, არმიისა და ფლოტის საბრძოლო ძლიერების ამაღლებისათვის. განუწყვეტლივ სრულყოფილი ხდებიან და ახალი საბრძოლო ტექნიკით აღჭურვებიან სატანკო ჯარები.

თვიანთი პატრიოტული და ინტერნაციონალური მოვალეობის ერთგული საბჭოთა მეომრები საიმედოდ იცავენ ჩვენი სამშობლოს საზღვრებს, მოიმზადებენ სოციალისტური ქვეყნების არმიებთან მჭიდრო ერთიანობით ფხიზლად დგანან სოციალიზმის მონაპოვართა სადარაჯოზე.

მოგესალმებით და მოგილოცავთ დღესასწაულს — ტანკისტთა დღეს. ვუსურვებ სატანკო-ჯარების მთელ პირად შემადგენლობას ახალ წარმატებებს საბრძოლო და პოლიტიკურ მოამზადებაში, მხედრული ოსტატობის, მუდმივი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებაში.

სატანკო მრეწველობის მუშაკებს ვუსურვებ შემდგომ წარმატებებს მძლავრი ჯავშანსატანკო ტექნიკის შექმნაში.

ტანკისტთა დღის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 14 სექტემბერს, 21 საათზე ადგილობრივი დროით ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში — გმირ ქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკათა დედაქალაქებში, გმირ ქალაქებში ლენინგრადში, სევასტოპოლში, ოდესასა და გმირ ციხე-სიმაგრე ბრესტში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

გაუმარჯოს სახელოვან საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს და მათს სატანკო ჯარებს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ყველა ჩვენი გამარჯვების სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი, საბჭოთა კავშირის მარშალი

ა. გრეჩკო.

□ □

ტანკისტთა დღესასწაული

12 სექტემბერს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლებისა და დედაქალაქის გარნიზონის მეომრების საზეიმო კრება, რომელიც მიეძღვნა ტანკისტთა დღესასწაულს.

კრებაზე მოხსენება გააკეთა საბჭოთა არმიის სატანკო ჯარების უფროსმა, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალმა ა. ხ. ბაბაჯანიანმა. მან გააშუქა საბჭოთა ჯავშანსატანკო ჯარების გმირული გზა.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მისასალმებელი წერილი გაუგზავნეს სკკპ ცენტრალურ კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს. (საკდესი).

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის საუბარი ბულგარეთის კომუნისტური პარტიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებთან

12 სექტემბერს სოფიაში საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით, რომელიც ჩამოვიდა ბულგარეთში სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის ზეიმზე, შეხვდა ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ტოდორ ჟივკოვსა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრებს.

საუბრის დროს, რომელიც უაღრესად მეგობრულ, გულითად ვითარებაში მიმდინარეობდა, ამხანაგებმა ნ. ვ. პოდგორნინმ და ტ. ჟივკოვმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები პარტიული და სახელმწიფო თანამშრომლობის ყველა დარგში საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ძმური ურთიერთობის შემდგომი განვითარებისა და განმტკიცების საკითხებზე. ვიმსჯელეთ აგრეთვე აზრთა ურთიერთგაზიარება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობის საკითხებზე და საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ აქტუალურ საკითხზე.

ყველა განხილულ საკითხში კვლავ დადასტურდა თვალსაზრისთა და შეფასებათა ერთიანობა და სრული თანხმობა. კმაყოფილებით აღინიშნა, რომ სსრ კავშირისა და სოციალისტური ბულგარეთის ურთიერთობა მტკიცდება და კიდევ უფრო ვითარდება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ინტერესებისათვის, სოციალისტური თანამეგობრობის განმტკიცებისათვის. (საკდესი).

გულგარეთიდან დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია

12 სექტემბერს სოფიიდან მოსკოვში დაბრუნდა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის მეთაურობით.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიოდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. ს. სოლომენცევი, სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრის მოადგილე, საბჭოთა კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალი ფლოტის ადმირალი ს. გ. გორშკოვი, სსრ კავშირის სგკგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლ. თ. ილიჩოვი, სსრ კავშირის ელჩი ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში ა. მ. პუზანოვი.

ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიწვევით დელეგაცია მონაწილეობდა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის ზეიმში. (საკდესი).

გულითადი მადლობა

სოფია, 13 სექტემბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „რაბოტნიჩესკო დელომ", ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანომ, გამოაქვეყნა საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის წევრილი გაზეთის რედაქციისადმი:

ძვირფასო ბულგარელო მეგობრებო!

დიდი საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის — ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავის დღესასწაულზე საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს საბჭოთა ხალხის, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მიმართ გამოითქვა მრავალი გულთბილი, კეთილი სიტყვა და სურვილები. ჩვენმა დელეგაციამ მიიღო აგრეთვე ბევრი წერილი და დეპეშა.

საბჭოთა დელეგაცია, სარგებლობს რა შესაძლებლობით, რომელიც მოგვცა გაზეთის რედაქციამ, სულით და გულით უმადლობას მადლობას ახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, მუშებს, კოოპერატორ გლეხებს, ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ყველა მშრომელებს მოძმე ბულგარელი ხალხის ამ გულშიჩამწვდომი, ამაღლებული გრძნობებისათვის.

ყოველივე ეს ერთხელ კიდევ მოწმობს ურღვევ მეგობრობას, რომელიც აერთიანებს ჩვენს ხალხებს, ჩვენს პარტიებსა და სახელმწიფოებს. მარქსიზმ-ლენინიზმისა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის დიადი იდეებით შთაგონებული ეს მეგობრობა ცოცხლობს საბჭოთა და ბულგარელი ხალხების გულში. ეგი გახდა უდიდესი ძალა, რომელიც გვეხმარება ერთად გადავჭრათ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის საერთო ამოცანები.

ბულგარეთში სახალხო ხელისუფლების 25 წლისთავის დღესასწაულმა კიდევ ერთხელ გვიჩვენა, რომ განვითარების მხოლოდ სოციალისტურმა გზამ დაიყენა ბულგარეთი ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა რიგებში, ნამდვილად ისტორიულ გამარჯვებებს ბულგარელი ხალხი უნდა უმადლოდეს ბულგარეთის მარქსისტულ-ლენინურ კომუნისტურ პარტიას, მის ხელმძღვანელობას. საბჭოთა ხალხს გულწრფელად ახარებს თქვენი წარმატებანი და გისურვებთ ახალ გამარჯვებებს განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში.

დიდი მადლობა გულითადი სტუმართმოყვარეობისათვის, გულთბილი მასპინძლობისათვის, რაც საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციას გაუწიეთ მშვენიერ ბულგარეთში.

საბჭოთა კავშირის პარტიისა და მთავრობის დელეგაციის მეთაური

ნ. პოდგორნი.

სოფია, 1969 წლის 12 სექტემბერი.

ქართული მეცნიერების ზეიმი

გვესაუბრება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი

მოსკოვში 16-19 სექტემბერს ეწყობა საქართველოს მეცნიერების ლენინური დღეები. ამასთან დაკავშირებით საქმდესმა სთხოვა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტს, სოციალისტური შრომის გმირს აკადემიკოს ნ. ი. მუსხელიშვილს ემბნა ქართველ მეცნიერთა უმნიშვნელოვანეს გამოკვლევებზე.

ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში საბჭოთა საქართველოს მეცნიერების მიღწევათა მომავალი დათვალიერება, თქვა ნ. ი. მუსხელიშვილმა, ცხადყოფს ჩვენი პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას.

დიდი ხანია წავიდა ის დრო, როცა მეცნიერების ცენტრი ჩვენი ქვეყნის რამდენიმე უდიდესი ქალაქი იყო. ახლა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში შეიქმნა და განმტკიცდა რესპუბლიკური აკადემიები, რომლებსაც სამეცნიერო დაწესებულებათა ფართო ქსელი აქვთ. გაიზარდნენ ეროვნული კადრებიც, რომელებსაც ღირსეული წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

მეცნიერების ლენინური დღეები. სულ ახლახან გულთბილად შეეგება მოსკოვი ლიტველ, აზერბაიჯანელ, თურქმენ, ლატვიელ, მოლდაველ მეცნიერებს, და აი ახლა ძმურად ხვდება საბჭოთა საქართველოს წარმომადგენლებს. მათთან ერთად ამაყობს იგი საბჭოთა მეცნიერების ფართო ფრონტით, იმ პრობლემების მრავალფეროვნებით, რომლებსაც ჩვენი მეცნიერები წყვეტენ, ჩვენი სამშობლოს თვითეული ხალხის მემოქმედებითი ძალების უმაღლესი აყვავებით.

მე, რვსპუბლიკაში მეცნიერების ქმნადობისა და განვითარების მოწმეს და მონაწილეს, კარგად მახსოვს ის დღეები, როცა სძირკველი ეყრებოდა ეროვნული სამეცნიერო კადრების მომზადებას. საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში უდიდესი მოვლენა იყო მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, რომელიც 1941 წელს შეიქმნა.

ნაცვლად 14 პატარა და სუსტად აღჭურვილი სამეცნიერო დაწესებულებებისა, რომლებიც 40-იან წლებში შედიოდნენ აკადემიის სისტემაში, ახლა 38 დაწესებულებაა. მათ ჰყავთ მაღალკვალიფიციური სამეცნიერო კადრები, აქვთ უახლესი და ბევრ შემთხვევაში უნიკალური მოწყობილობებით, აპარატურითა და დანადგარებით აღჭურვილი ექსპერიმენტული ბაზა.

ქართული საბჭოთა მეცნიერებისა და კულტურის ფართო და მაკიცე წინსვლას დამაჯერებლად მოწმობს ის ფაქტი, რომ ჩვენს რესპუბლიკაში ახლა 200-მდე სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება და 18 უმაღლესი სასწავლებელია, რომლებშიც მუშაობს ცოდნის სხვადასხვა დარგის 14 ათასზე მეტი სპეციალისტი, მათ შორის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 50 აკადემიკოსი და 55 წევრ-კორესპონდენტი, 700-მდე მეცნიერებათა დოქტორი და 4.800-ზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატი. ბევრი ქართველი მეცნიერი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის, საზღვარგარეთის მეცნიერებათა აკადემიებისა და საერთაშორისო სამეცნიერო ორგანიზაციების წევრია.

საქართველოში წარმატებით ვითარდება კვლევა თანამედროვე მეცნიერების ყველა ძირითად დარგში. კვლევა წარმოებს სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების შესაბამისად, აგრეთვე მთელი რიგი წლების განმავლობაში შექმნილი ტრადიციებისამებრ.

ყველა საბჭოთა მეცნიერთან ერთად რესპუბლიკის მეცნიერების მოღვაწენი აქტიურად მონაწილეობენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი პრობლემების გადაჭრაში. ამას დამაჯერებლად მოწმობს უკანასკნელი სამი წლის მანძილზე მიღებული გამოგონებისა და აღმოჩენის 200 საავტორო მოწმობა და რამდენიმე ათეული მილიონი მანეთი ეკონომია, რომელიც მოგვცა კვლევის ორასზე მეტი შედეგის დანერგვამ სახალხო მეურნეობაში. ჩვენი მეცნიერების ბევრ ნაშრომს მიენიჭა ლენინური, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიები.

საქართველოში შეიქმნა და განმტკიცდა ეროვნული მათემატიკური სკოლა, რომელიც მათემატიკისა და თეორიული მექანიკის მთელ რიგ დარგებში წამყვანია საბჭოთა კავშირში. მისი გამოკვლევები დრეკადობის მათემატიკურ თეორიაში, ინტეგრალურ განტოლებათა თეორიაში, მექანიკის პრობლემების გადასაჭრელად ანალიზური ფუნქციების თეორიისა და ანალიზის მეთოდების გამოყენების, ახალი გამოსათვლელი მანქანების თეორიული საფუძვლების შექმნის დარგში ცნობილია შორს ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ.

ქართული მეცნიერების წარმატებათა საწინდარია ფუნდამენტური თეორიული ნაშრომების სწორი შეხამება გამოკვლევებთან, რომლებსაც დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ტექნიკის ბევრ დარგში. მეცნიერების მთელი რიგი დარგების მათემატიზაცია საშუალებას აძლევს მათ უკეთ შეიცნონ ბუნების კანონზომიერებანი და მატერიის ორგანიზაციის ფორმები, ახალი იდეები და სქემები გადააქციონ ორიგინალურ ტექნიკურ მოწყობილობათა კონსტრუქციებად. აქტუალური მნიშვნელობა აქვს აკადემიკოს ი. ვეკუასა და მისი თანამშრომლების ნაშრომებს გარსების თეორიის დარგში, რომლებიც წარმატებით გამოიყენეს, მაგალითად, ამიერკავკასიის უდიდესი ჰიდროელექტროსადგურის — ენგურჰესის 270-მეტრიანი თაღოვანი კამხალის დაპროექტებისას.

ნაყოფიერად მუშაობენ ქართველი ფიზიკოსებიც, რომლებმაც დიდმნიშვნელოვან შედეგებს მიაღწიეს მაღალ ენერგიათა, დაბალ ტემპერატურათა, მყარი სხეულის ფიზიკაში, ბირთვულ ფიზიკაში, ბიოფიზიკაში, პლაზმის ფიზიკაში და სხვ. მათი ნაშრომები „ტემპერატურული ჭის" ფსკერზე ზედენადობის დარგში შესანიშნავი წვლილია მეცნიერებას ახალი დარგის — კვანტურ სითხეთა ჰიდროდინამიკის შექმნაში.

მთელ მსოფლიოში ფართო აღიარება მოიპოვა ატომური ნაწილაკების დეტექტორმა — ახალი ტიპის ტრეკის ინოტოპურმა ნაპერწკალურმა კამერამ, რომელიც თბილისში შეიმუშავეს.

ახალ კანონზომიერებათა აღმოჩენასთან, მატერიის არსსა და სტრუქტურაში ჩაწვდომასთან ერთად ქართველი მეცნიერები ამავე დროს თავიანთი გამოკვლევებით აქტიურ ზემოქმედებას ახდენენ ბუნებაზე. მათ მიერ შემუშავებული მეთოდებისა და საშუალებების ბაზაზე იფანტება მძლავრი ბოლქვა ღრუბლები, თავიდან შეგვიძლია აეიცილოთ სეტყვა. რესპუბლიკაში არის ამ სტიქიურ უბედურებასთან ბრძოლის სპეციალური სამსახური, რომელიც სეტყვისაგან იცავს 450 ათას ჰექტარს. ბუნებაზე ზემოქმედების მეთოდები, რომლებიც ქართველმა ვეოფიზიკოსებმა შეიმუშავეს, წარმატებით ინერგება უკრაინაში, მოლდავეთში, უზბეკეთში, ტაჯიკეთში. საქართველოს მეცნიერთა და სპეციალისტთა დახმარებით სეტყვისაგან იცავენ ვენახებსა და ბაღებს მოძმე ბულგარეთში.

მე განსაკუთრებით არ ვეხები ცოდნის ისეთი დარგების წარმატებებს, როგორიცაა ასტროფიზიკა, გეოლოგია, გეოგრაფია, ქიმია და სხვ., მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მათი მიღწევები ნაკლებ მნიშვნელოვანი იყოს.

ამ ბოლო დროს ჩვენს აკადემიაში სწრაფად ვითარდება მეცნიერების ისეთი თანამედროვე დარგები, როგორიცაა კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, ავტომატიკა და ტელემექანიკა. ინტენსიურად ფართოვდება აგრეთვე კვლევა სამთო მეცნიერების, მანქანამცოდნეობის, სამშენებლო მექანიკისა და სეისმომედეგობის დარგში. ამ დარგში მომუშავე მეცნიერებმა შეიმუშავეს რთული აეროფოტოგადაღების სისტემების მათემატიკური აღწერისა და რიცხობრივი კვლევის წესები. წარმატებით მიმდინარეობს დიდმნიშვნელოვანი კვლევა მეტყველებით ბრძანებათა ავტომატური გამოცნობის დარგში. დამთავრდა მუშაობა რუსული ენიდან ქართულ ენაზე ავტომატური თარგმნის აოგორითმის შესაქმნელად, შემუშავებულია მობილური მანქანების გაანგარიშების მეთოდები მოის პირობებში მათი საიმედოობისა და ხანგაგძლეობის გასადიდებლად.

ცნობილია, რომ ბიოლოგიაში, ისევე როგორც ასტროფიზიკასა და ელემენტარული ნაწილაკების ფიზიკაში, ახლა მოსალოდნელია ფრიად მნიშვნელოვანი ადამტრიალებანი მატერიაზე ჩვენს წარმოდგენაში. ბიოლოგიის ისეთი დარგები, როგორიცაა ფიზიოლოგია, ბოტანიკა, პალეობიოლოგია, ზოოლოგია და სხვ., ტრადიციულია ქართული მეცნიერებისათვის. ქართული სკოლის ფიზიოლოგებმა განახორციელეს დიდმნიშვნელოვანი კვლევა იმისათვის, რომ გამოერკვიათ, რა როლს ასრულებენ თავის ტვინის სხვადასხვა უბნები, ნერვული მექანიზმები სიცოცხლეში ადამიანისა და ცხოველების ორიენტაციაში. ამასამად უმეტესი ყურადღება ეთმობა მეხსიერების ფიზიოლოგიური და ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლას. ნაყოფიერად ეითარდება ბიოფიზიკა და ბიოქიმია, მოლეკულური ბიოლოგია, რადიოქიმია.

საქართველოს საზოგადოებრივ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებს მდიდარი ტრადიციები აქვთ. მარქსისტულ-ლენინურმა კვლევამ საშუალება მოგვცა მიგვიახლოვებინა ისინი თანამედროვეობასთან, მიგვენიჭებინა მათთვის აქტუალური ქმედითი ხასიათი, აგვემაღლებინა მათი, როგორც საზოგადოების ხელმძღვანელობის მეცნიერული საფუძვლის როლი.

დიდი სამუშაოები შეასრულეს ქართველმა მეცნიერებმა ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის, არქეოგრაფიის, ლიტერატურათმცოდნეობის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ხელოვნებათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, სამართლის, ეკონომიკის, ფსიქოლოგიის დარგებში.

ქართველ აღმოსავლეთმცოდნეთა ძლიერმა სკოლამ, რომელსაც აკადემიკოსი გ. წერეთელი მეთაურობს, ამასწინანდა საკავშირო აკადემიის მაღალი შეფასება დაიმსახურა.

ჩვენი ხალხის შემდგომი სულიერი გამდიდრებისა და განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ისეთ ღირსშესანიშნავ მოვლენებს საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში, როგორიც იყო გენიალური შოთა რუსთაველის 800 წლისთავი, თბილისის უნივერსიტეტის 50 წლისთავი, დიდი ქართველი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის დაბადების 150 წლისთავი. რესპუბლიკის აკადემიამ უაღრესად აქტიური მონაწილეობა მიიღო ამ ეროვნულ დღესასწაულთა მომზადებასა და მოწყობაში, რომლებიც მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად აღინიშნა.

ქართული მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში ახალი წესილი იქნება ფუნდამენტური ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის გამოცემა, რომლის პირველი ტომი უკვე მომავალ წელს უნდა გამოვიდეს.

ჩვენ სულაც არ ვფიქრობთ, რომ ქართველმა მეცნიერებმა უკვე შეასრულეს ყველა ამოცანა, რომლებიც პარტიამ და მთავრობამ დაუსახეს საბჭოთა მეცნიერებას. ჩვენს გენიალურ ბელადსა და მასწავლებელს ვ. ი. ლენინს საჭიროდ მიაჩნდა, რომ მეცნიერება საესებით და ნამდვილად იყოს ჩვენი ყოფა-ცხოვრების შემადგენელი ელემენტი.

ლენინური დღეები ახალი სტიმული იქნება ქართველი მეცნიერების შემდგომი აღმავლობისათვის. ჩვენი რესპუბლიკის მეცნიერები ისწრაფვიან ღირსეულად შეხვდნენ ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავსა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლისთავს. (საქდესი).

ამხანაგმა ვ. პ. მჟავანაძემ დაათვალიერა არქეოლოგიური გათხრები ვანში

ჩვენი მკითხველებისათვის კარგად არის ცნობილი ვანის ნაქალაქარის არქეოლოგიური გათხრები. ძველი ქალაქის კარიბჭიდან ორასიოდე მეტრის დაშორებით წელსაც გრძელდებოდა არქეოლოგიური შესწავლა იმ ტაძრისა, სადაც 1967 წელს გამარჯვების ქალღმერთის ნიკეს სკულპტურული გამოსახულებით დამშვენებული ბრინჯაოს ჭურჭელი და სხვა რიტუალური საგნები აღმოაჩინეს.

10 სექტემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. პ. მჟავანაძემ პარტიის ვანის რაიკომის პირველ მდივან ბ. ყიფიანთან ერთად დაათვალიერა არქეოლოგიური გათხრები ვანის ნაქალაქარზე — ძველი ქალაქის კარიბჭის ხუროთმოძღვრული კომპლექსი, გალავნის კედლები, მრგვალი ტაძარი და სხვა არქიტექტურული ნაგებობანი.

შემდეგ ამხ. ვ. პ. მჟავანაძე ეწვია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ბაზას, სადაც გაეცნო არქეოლოგიური ექსპედიციის წლევანდელ მონაპოვარს — სამარხებში ნაპოვნ ძველ კოლხურ ოქრომჭედლობის ნიმუშებს, ვერცხლის, თიხისა და მინის ნივთებს. ამხ. ვ. პ. მჟავანაძე აგრეთვე გაეცნო გათხრების პროცესს ფერადი დიაპოზიტივებითა და კინოფილმით.

არქეოლოგიური ექსპედიციის წლევანდელ აღმოჩენათა შესახებ განმარტებას იძლეოდა არქეოლოგიური გათხრების ხელმძღვანელი, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ო. ლორთქიფანიძე. („კომუნისტის" კორ.).

გულგარეთში გამგზავრების წინ

12 სექტემბერს თბილისში, რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში უჩვენეს საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს მოდელების სახლის მოდების კოლექცია, რომელიც უნდა წარადგინონ პლოვდივის ტრადიციულ საერთაშორისო ბაზრობაზე. ეს ბაზრობა წელს საიუბილეოა, რადგან ეწყობა ბულგარეთის სოციალისტური რევოლუციის 25 წლისთავზე.

მოდების ჩვენების დროს იყვნენ ამხანაგები: ვ. როდიონოვი, დ. სტურუა, გ. ჩოგოვაძე, შ. ჭანუყვაძე, გ. ჯავახიშვილი, მ. კუპავა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. გომელაური, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე მ. ლელაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დანაყოფიერებათა გამგეები ა. ანანიაშვილი, ი. ციცაშვილი, დ. ჩხიკვაშვილი, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი ფ. დუმბაძე, საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ელიგულაშვილი. (საქდესი).

მეცხრე საერთაშორისო...

მსოფლიოს ყველა კონტინენტის ქვეყნების წარმომადგენლები იკრიბებიან მოსკოვში ბიოლოგ-მონადირეობისმცოდნეთა მე-9 საერთაშორისო კონგრესზე. კონგრესის გახსნის წინ, 12 სექტემბერს, გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

კონგრესში მონაწილეობას მიიღებენ 34 ქვეყნის მონადირეობისმცოდნენი. კონგრესი ეწყობა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნის საპატიო თავმჯდომარეობით.

(საკდესი).

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ამხ. ბ. ბ. ბაციტაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი, ითვალისწინებს ბ. ბ. ბაციტაძის ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ბორის გაბრიელის-ძე ბაციტაძე დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ქობულია

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. ქავაზაძე

თბილისი, 1969 წლის 12 სექტემბერი.

ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ, ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

Გ. ᲧᲘᲤᲘᲐᲜᲘ,
ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲓᲘᲕᲐᲜᲘ.

ᲚᲘᲚᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲓᲦᲔᲔᲑᲨᲘ ᲕᲐᲜᲘᲡ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲠᲗᲮᲝ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲛᲪᲐᲢᲘᲪᲓᲐ ᲘᲡᲘᲗᲘ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲣᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲥᲛᲜᲘᲐᲜ ᲬᲠᲛᲝᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ-ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲣᲡᲠᲪᲔᲑᲘᲡ ᲡᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲗᲘ ᲡᲐᲮᲐᲠᲘᲗ ᲓᲦᲔᲒᲠᲫᲔᲚᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲒᲐᲠᲝᲓ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲑᲚᲝᲑᲐᲗᲐᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲡ.

ᲓᲦᲔᲓᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲓᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲑᲠᲝᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲝ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ ᲨᲔᲘᲠᲩᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲬᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲦᲝᲜᲘᲡᲫᲘᲔᲑᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲓᲔᲑᲐ ᲛᲔᲮᲘᲚᲔᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲣᲨᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. 1965-69 ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲨᲕᲓᲐ 1.000 ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲐᲛᲓᲔ ᲮᲔᲮᲩᲘᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲑᲐᲦᲔᲑᲘ, ᲑᲐᲦᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲦᲚᲝᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲚᲐᲦᲚᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲐᲦᲚᲝᲛᲗᲘᲐᲜᲘ ᲖᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲡᲐᲤᲠᲗᲮᲘᲡᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ. ᲐᲓᲠᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲜᲘᲨᲜᲘᲗ ᲛᲣᲨᲐᲝᲓᲜᲔᲜ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ. ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲬᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲗᲣ 1965 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ 21 ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲓᲐᲜ 9-10 ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲬᲚᲘᲣᲠᲐᲓ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲨᲐᲠᲐᲚᲘᲗ ᲐᲛᲝᲗᲐᲕᲠᲔᲑᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲬᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲬᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ ᲛᲘᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲐᲗᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘᲗ. ᲬᲚᲘᲡ ᲑᲝᲚᲝᲛᲓᲔ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲠᲩᲘᲚᲘᲐᲜ ᲒᲐᲜᲐᲠᲒᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐᲗᲐ ᲡᲐᲛᲝᲥᲛᲔᲓᲝ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲘᲗ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲠᲔᲖᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲗ ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲓᲐ ᲛᲐᲗᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲗᲕᲘᲗᲜᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲛᲘᲛᲦᲔᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲣᲬᲚᲔᲑᲐᲗᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲗ.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲞᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ ᲠᲐᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲡᲐᲒᲠᲝᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲙᲛᲧᲝᲤᲘᲚᲘᲐ. ᲛᲐᲒᲐᲚᲘᲗᲐᲓ ᲐᲛᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲩᲘᲚ

14 სექტემბერი ტანკისტების დღეა

დიდების შარავანდედით მოსილი

საბჭოთა ტანკისტები

ნელს ტანკისტთა ზეიმი იმართება საბჭოთა ხალხისა და მისი მეომრების პოლიტიკური, შემოქმედებითი და შრომითი აქტივობის უაღრესად მაღალი აღმავლობის ვითარებაში, რაც გამოწვეულია ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისათვის მზადებით, ლენინის სახელთან განუყრელად არის დაკავშირებული კომუნისტური პარტიის, საბჭოთა სახელმწიფოსა და შეიარაღებული ძალების მთელი ისტორია.

ლენინს მიუძღვის ისტორიული დამსახურება საბჭოთა ქვეყნის არმიის ტექნიკურ აღჭურვაში, რისთვისაც იგი მუდამ ზრუნავდა მისი არსებობის პირველი დღეებიდანვე. ჯერ კიდევ 1918 წლის მარტში, საბჭოების სრულიად რუსეთის მე-4 საგანგებო ყრილობაზე ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი ხაზს უსვამდა, რომ ომში „იმარჯვებს ის, ვისაც აქვს უდიდესი ტექნიკა, ორგანიზებულობა, დისციპლინა და საუკეთესო მანქანები...“

ვ. ი. ლენინის გენიალურმა გამჭრიახობამ, რომელმაც ზუსტად განსაზღვრა შეიარაღებული ბრძოლის ერთ-ერთი მთავარი რგოლი ომების ახალი, მანქანური პერიოდის გარიჟრაჟზე, კომუნისტურ პარტიას დაუსახა ყოველნაირი საბრძოლო ტექნიკით, მათ შორის, ტანკებითაც წითელი არმიის აღჭურვის კურსი.

1919 წელს სამხედრო მრეწველობის საბჭომ ვ. ი. ლენინის პირდაპირი მითითებით მიიღო გადაწყვეტილება პირველი საბჭოთა ტანკების აშენების შესახებ. სამოქალაქო ომის უზარმაზარ სამეურნეო სიძნელეების, ბევრი მასალის ნაკლებობის მიუხედავად, 1920 წლის დეკემბერში გამოჩნდა საბჭოთა ტანკშენებლობის პირველი, რომელიც სორმოვოს ქარხანამი აშენდა. მუშებმა მას „თავიანუფლებისათვის მებრძოლი ამხანაგი ლენინი“ უწოდეს.

1929 წელს რევოლუციურმა სამხედრო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება საცდელი მექანიზებული პოლკის შექმნის შესახებ. ერთი წლის შემდეგ იგი პირველ მექანიზებულ ბრიგადად გადაკეთდა, რომლის გაზაზე იქმნება მსოფლიოში პირველი მექანიზებული კორპუსი. 1939 წლის დამლევს ჩვენმა არმიამ მიიღო უახლესი, მსოფლიოში საუკეთესო ტანკები ტ-34 და კვ, რომელნიც გამოირჩეოდნენ მდიდარი საცეცხლე შესაძლებლობების, საჯავშნო დაცვისა და მაღალი მანევრულობის შესანიშნავი შეხამებით. თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური თვისებებით ეს ტანკები სჯობდნენ საზღვარგარეთის საბრძოლო მანქანების ყველა ნიმუშს და დროთა განმავლობაში განსაზღვრეს მსოფლიო ტანკმშენებლობის ძირითადი მიმართულება.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარების სწრაფი ტემპის, კომუნისტური პარტიის მუდმივი ზრუნვის მეოხებით ჩვენი ქვეყნის საბჭოთა მრეწველობა განუხრელად უმჯობესდებოდა და მტკიცდებოდა.

ეს თავიანთ თავზე გამოსცადეს იმპერიალისტმა აგრესორებმა, რომლებმაც არაერთხელ სცადეს იარაღით მოესინჯათ ჩვენი საზღვრების სიმტკიცე. ჩვენმა მამაცმა ტანკისტებმა, რომლებიც / სრულყოფილად დაეუფლნენ საბჭოურ მანქანებს, ჭკუა ასწავლეს იაპონელ დამპყრობლებს 1938 წელს ხასანის ტბის რაიონში და 1939 წელს მდინარე ხალხინ-გოლზე. საბჭოთა ტანკების მძლავრი ძალა შიშის ზარს სცემდა მტრებს 1939-1940 წლების საბჭოთა კავშირ-ფინეთის ომის დროსაც.

მაგრამ ჩვენი ტანკისტების მნიშვნელოვანი მორალურ-საბრძოლო თვისებანი და მათი მანქანების მრისხანე ძალა განსაკუთრებით მკაფიოდ გამოვლინდა დიდი სამამულო ომის წლებში. ისევე როგორც ყველა საბჭოთა მეომარმა, მათ გამოიჩინეს უმაგალითო ვაჟკაცობა და გმირობა, ლენინიზმის იდეების, სამშობლოს, თავისი ხალხის, კომუნისტური პარტიის ურყევი ერთგულება.

პირველი. გამანადგურებელი დარტყმები გერმანელ-ფაშისტთა ჯარებს ჩვენმა ტანკებმა და მექანიზებულმა შენაერთებმა აგვმეს 1941 წლის ზაფხულისა და შემოდგომის ფიცხელი ბრძოლების დროს გროდნოსა და დონის მახლობლად, შაულიაის რაიონში და ფრონტის სხვა უბნებზე.

გასული ომის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი ჩვენი ტანკისტების უკვდავი გმირობა მოსკოვისათვის ბრძოლებში. აქ იშვა საბჭოთა სატანკო ვგარდია. პირველებს ეს სიპატიო წოდება მიენიჭათ სატანკო ბრიგადას, რომელსაც მეთაურობდა გენერალი მ ე. კატუკოვი, რომელიც შემდეგ ორჯზის საბჭოთა კავშირის გმირი, ჯავშანსატანკო ჯარების მარშალი გახდა, და მეოცხე სატანკო ბრიგადას, რომელსაც მეთაურობდა პოლკოვნიკი, ამჟამად არმიის გენერალი ა. ლ. გეტმანი.

დიდების შარავანდედით შემოსეს თავიანთი საბრძოლო დროშები სატანკო ნაწილებმა და შენაერთებმა სტალინგრადის ბრძოლაში. ტანკისტები, რომლებიც სხვა გვარეობის ჯარების მეომრებთან მხარდამხარ იბრძოდნენ, ანადგურებდნენ მტრის ცოცხალ ძალას და ტექნიკას, იჩენდნენ მასობრივ გმირობასა და მამაცობას.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდი სამამულო ომის განმავლობაში განუწყვეტლივ ზრუნავდნენ იმისათვის, რომ არმია აღჭურვათ საჭირო რაოდენობის პირველი კლასის საბრძოლო მანქანებით. თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გადაწყვეტილებით შეიქმნა სატანკო მრეწველობის სახალხო კომისარიატი, რომელმაც უდიდესი მუშაობა გასწია საბჭოთა ტანკების მასობრივი წარმოების უზრუნველყოფისათვის.

ვარტიის ნებით, მშრომელთა გმირული მეცადინეობით უმაგალითო ტემპით გამოდიოდა ჯავშანსატანკო ტექნიკა, დიდი სამამულო ომის დამლევისათვის ტანკების, თვითმავალი საარტილერიო დანადგარებისა და ჯავშანმანქანების გამომვლინა წელიწადში 30 ათას ერთეულს აღემატებოდა.

1943-1945 წლებში საბჭოთა კავშირში ყოველწლიურად აწარმოებდნენ თითქმის ერთიორად მეტ ტანკს, ვიდრე გერმანიაში, 1,5-ჯერ მეტს, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, ნ-ჯერ მეტს, ვიდრე ინგლისში.

სატანკო ჯარები უდიდეს მონაწილეობას იღებდნენ დიდი სამამულო ომის წლების ყველა დიდ ოპერაციაში, რომელებსაც ჩვენი შეიარაღებული ძალები ახორციელებდნენ. ასე იყო ლენინგრადთან და ნოვგოროდთან, ბელორუსიისა და უკრაინაში, ბალტიის-პირეთში და შავი ზღვის სანაპიროზე, ავსტრიის, ალბანეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, ნორვეგიის, პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის ხალხთა ფაშისტური უღლისაგან განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებმი, ბერლინის აღებისათვის ბრძოლაში.

დიდი სამამულო ომის დამთავრება საბჭოთა ტანკისტებმა აღნიშნეს ბრწყინვალე ოპერაციით, რომელიც მოაწყვეს ჰიტლერის არმიის ნაშთების მოსპობისათვის მომე ჩეხოსლოვაკიაში (ქ. მტრის ჯარებისაგან მისი დედაქალაქის პრაღის განთავისუფლებისათვის.

თავისი საბრძოლო ოსტატობა ჩვენმა სატანკო ჯარებმა ახალი ძალით ცხადყვეს ომის დროს მილიტარისტული იაპონიის წინააღმდეგ. აქაც ჩვენი ტანკები თავზარს სცემდნენ მოწინააღმდეგს, ძლევამოსილი საბჭოთა არმიის მთავარ დამკვრელ ძალას წარმოადგენდნენ.

გაფფრთრებული ბრძოლების ქარცეცხლში ათასობით ტანკისტმა — ჯარისკაცებმა, სერჟანტებმა, ოფიცრებმა და გენერლებმა—გამოჩინა გმირობა. სამშობლომ ღირსეულად შეფასა მათი ვაჟკაცობა და გმირობა. 250 ათასი კაცი დაჯილდოვდა საბჭოთა კავშირის ორდენებით და მედლებით. 1142 კაცს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, 16 ტანკისტს ორჯზის აქვს მიღებული ეს წოდება.

ვაჟკაცობისა და გმირობის ნიმუშები ვეიჭვენეს ტანკისტებმა — საკართველოს მამაცმა შვილებმა. იბრძოდნენ რა საბჭოთა კავშირის სხვა ეროვნებათა მეომრების მხარდამხარ, მათ არ იცოდნენ რა იყო შიში მტრებთან ბრძოლაში, იჩენდნენ საბრძოლო სულისკვეთებას, მასობრივ გმირობას, შესანიშნავ საბრძოლო ოსტატობას.

უჭკნობი დიდებით შეიმოსნენ 52-ე ცალკეული სატანკო ბრიგადის მებრძოლები. ამ ბრიგადამ, რომელიც 1942 წელს შეიქმნა საქართველოში, თავისი საბრძოლო გზა ჯარების ჩრდილოეთის ჯგუფის შემადგენლობაში დაიწყო. ბრიგადამ წარმატებით წარმართა უკვე პირველი ბრძოლები, რისთვისაც დაჯილდოებული იყო წითელი დროშის ორდენით. 1943 წლის 7 თებერვალს იგი გარდაექმნა 34-ე ცალკეულ გვარდიულ წითელდროშოვან სატანკო ბრიგადად. ვიტებსკთან თავდადებული მოქმედებისათვის შეენიჭა ასობით მებრძოლსა და მეთაურს. შორის ქართველებსაც. მიენიჭათ მთავრობის ჯილდოები, ბრიგადას კი ეწოდა ვიტებსკის ბრიგადის სახელი. საბრძოლო მოქმედება ამ ბრიგადამ დაამთავრა იმ ჯარების შემადგენლობაში, რომლებმაც საბჭოთა ბალტიისპირეთი კეთილისუფლეს. ომის დასასრულს მისი საბრძოლო გვარდიული ფრონტ დააშენეს კიდევ ერთმა მალალმა ჯილდომ — სუვოროვის ორდენმ.

ოცი ქართველი ხალხის ბეჭრი წარმომადგენელი დაწინაურდა ამ მრისხანე ჯარეობის ჯარების თვალსაჩინო მეთაურად და რთული ვითარების პირობებში სატანკო ქვეგანაყოფებისა და ნაწილების ხელმძღვანელობის დიდი ოსტატობა გამოიჩინა. მათ რიცხვს მიეკუთვნება სატანკო პოლკის მეთაური, ახლა თადარიგის პოლკოვნიკი შ. ს. სამსონიძე, რომელსაც მთავრობის ბევრი ჯილდო მიანიჭა, ლენინის, წითელი დროშისა და წითელ ვარსკვლავის ორდენების კავალერი, თადარიგის პოლკოვნიკი გ. გ. ბურკაძე და ბევრი სხვა.

ოცდაოთხმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც მიწყდა დიდი სამამულო ომის უკანასკნელი ზალპები. ამ ხნის მანძილზე ჯავშანსატანკო ტექნიკის განვითარებაში ძირეული გარდაქმნები მოხდა.

საბჭოთა შეიარაღებული ძალების ყველა მეომარ ტანკისტთან ერთიან ჯავშნოსან მწყობრში დგანან ამიერკავკასიის წითელდროშოვანი ოქტის ტანკისტები. შეიგნებული აქვთ რა დაკისრებული ამოცანების შესრულებისათვის მაღალი პასუხისმგებლობა, ისინი ბეჯითად სრულყოფენ საბრძოლო ოსტატობასა და მზადყოფნას.

ისევე როგორც ყველგან, სატანკო ნაწილებსა და ქვეგანაყოფებშიც ფართო გაქანება მიეცა სოციალისტურ შეჯიბრებას ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებასთან ერთად ჯარისკაცები, სერჟანტები და ოფიცრები ყოველდღიურად ახალ წარმატებებს აღწევენ საბრძოლო და პოლიტიკურ მოამზადებაში. ფიდერული დისციპლინის განმტკიცებაში.

ოქტის ჯარების ფართოდ ცნობილი მოწინავე სატანკო ქვეგანაყოფებიდან [illegible] ვ. ნ. [illegible] [illegible] [illegible]

მედიკოსთა ფორუმი

ᲐᲛ უკანასკნელ ხანს საქართველოში ხშირად იმართება როგორც საკავშირო, ისე საერთაშორისო სიმპოზიუმები, ჭიძღვნილი მედიცინის აქტუალურ საკითხებისადმი, ჩვენი მეცნიერებიც ხშირად მონაწილეობენ საზღვარგარეთის ქვეყნებში გამართულ სიმპოზიუმებში. ქართველ მედიკოსთა ასეთი ფართო გასვლა საერთაშორისო ასპარეზზე მოწმობს იმ დიდ კვლევითს მუშაობას, რასაც ეწევიან ჩვენი სახელოვანი მეცნიერები.

საქართველოს სამედიცინო დაწესებულებები წლითიწლობით იფართოებენ კავშირს სოციალისტური ქვეყნების შესაბამის ორგანიზაციებთან, წარმოგებს მეცნიერული ლიტერატურის ურთიერთგაცვლა, ერთობლივი ლონისძიებით ეწყობა სამეცნიერო სხდომები და სიმპოზიუმები.

ერთ-ერთი ასეთი სიმპოზიუმი იხსნება 14 სექტემბერს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს სახოზოგადოების შენობაში. ეს არის საქართველო-უნგრეთის მე-2 სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება \ გვირგვინოვან სისხლძარღვთა ნაკლოვანებებს, ჰიპერტონიული დაავადების კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის საკითხებს.

გვესაუბრება საქართველო-უნგრეთის მე-2 სიმპოზიუმის ორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი, პროფესორი ლევან საუთარელიძე.

სიმპოზიუმის მუშაობაში საბჭოთა კავშირისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ პოლონეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სხვა ქვეყნების გამოჩენილი ექიმები და ფარმაკოლოგიური მრეწველობის მუშაკები. კერძოდ, სიმპოზიუმზე მოხსენებით გამოვლენ ცნობილი უნგრელი კარდიოლოგი შ. გერე, ვარშავის კარდიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი ზ. ასკანასი, მოსკოვიდან — აკადემიკოსი ბ. ვოლჩანი, ლენინგრადიდან — პროფესორი ი. გბენკლინა, ოქესკიდან — პროფესორი ი. ლეშჩინსკა, კიევიდან — პროფესორი ტ. გლუნეხოდი და სხვები. საქართველოდან მოხსენებებს წაიკითხავენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნ. კავახიშვილი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწეები პროფესორები ს. კობალაძე, ნ. ყიფშიძე, კ. ვირსალაძე, ი. ზალიშვილი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ამ სიმპოზიუმის, ისევე როგორც 1967 წელს გამართული საქართველო-უნგრეთის მეოდიკთა პირველი სიმპოზიუმის ორგანიზატორები არიან თბილისის სამედიცინო ინსტიტუტის პედიატრიის, სანიტარული ჰიგიენისა და სტომატოლოგიური ფაკულტეტები, ჰოსპიტალური თერაპიის კათედრა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ფარმაცევტული მრეწველობის გერთობანები.

სიმპოზიუმი იმუშავებს 16 სექტემბრამდე და განიხილავს გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებების კლინიკური და ექსპერიმენტული ფარმაკოთერაპიის აქტუალურ საკითხებს. სულ მოსმენილი იქნება 70-მდე მოხსენება.

16 სექტემბერს თბილისში იხსნება ჰემიკოთა კიდევ ერთი ფორუმი — ევროპის სოციალისტური ქვეყნების კურორტოლოგიის, ბალნეოკლიმატოლოგიისა და ფიზიკური თერაპიის ინსტიტუტების მე-6 საერთაშორისო საკოორდინაციო თათბირი. ძირითადი საკითხი, რომელიც ამ თათბირის დღის წესრიგში დგას, არის 1967-1969 წლებში კურორტოლოგიის, ფიზიოთერაპიისა და ბალნეოთერაპიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების მიერ შესრულებული მუშაობის შედეგები. მომხილვას გააკეთებს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ცენტრალური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ი. დანილოვი. საანგარიშო მოხსენების მასალებთან დაკავშირებით გამოვლენ ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკების ინსტიტუტების წარმომადგენლები.



ᲓᲐᲘᲡᲘ ᲖᲚᲕᲐᲖᲔ.

ფოტოტიფი ბ. დადვაძისა.

სასამართლო ნარკვევი

ოცდაათი ვეცხლი

ᲐᲒᲠᲝᲑᲔᲜ, ფულს სენი არა აქვს. მაგრამ გაიხნია, რა ფულს. გამცემლობისათვის გადათვლილი ოცდაათი ვეცხლი უკვე ორი ათასი წელია ყარს.

ქრთამად აღებულ ფულს სენი აქვს. და ძალიან ცუდი სენიც. და მით უფრო ცუდი სენი აქვს, როცა ქრთამს იქ იღებდნენ, სადაც ყველაფერი სპეტაკი და წმიდა უნდა იყოს, იქ, სადაც ქალიშვილები და ბაბუკები ენდა ოცნებობდნენ მთაგონებაზე, თავიანთ თავს აბრალებდნენ ადამიანთათვის და მეცნიერებისათვის სამოვალწეოდ.

ერთი სიტყვით, ქრთამი გაიღეს და აღღეს ინსტიტუტის — მოსკოვის პოლიგრაფიული ინსტიტუტის ეკედლებში. და ერთი კი არა. ქრთამების მთელი თაიგული. ქრთამს იძლეოდნენ ბაბუკები და ქალიშვილები, „ცხოვრებაზე რომ ფიქრობდნენ“, და მათი მშობლები; ქრთამს იღებდნენ ისინი, ვინც მოწოდებულია გონიერულს, კეთილსა და მრავდიღულ თესავდეს, — პედაგოგები.

ბრალდებულთა სკამზე ექვსნი სხედან. რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნ. თ. ალპატოვა, პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ს. ბერეზოვსკი, ისტორიკოსი ს. ნ. ბორისოვი, მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე ლ. ვ. კურბატოვა, მიმღები კომისიის პასუხისმგებელი მდივანი გ. ვ. პისარევი, და მშობელი, რომელმაც ქრთამი მისცა, ე. გ. ზინოვიევა.

საქმეს ისმენს მოსკოვის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია: ვ. ვ. ბოგდანოვი (თავმჯდომარე), ტ. ა. ვინოგრადოვი, ვ. გ. ბკვარჩენკო. ბრალდებას მხარს უჭერს პროკურორი ტ. პ. პრაზდნიკოვა.

თხრობას დავიწყებ შუა პროცესიდან, იმ მომენტიდან, როცა დაკითხვიდნენ ბრალდებულ ზინოვიევას და ქრთამის სხვა გამღებნი — რამდენიმე ათეულ კაცს. მათი ჩვენებანი ერთფეროვანია:

— გამოცდების წინადღეს ჩემმა ქალიშვილმა (ვაიშვილმა) მითხრა, ქრთამი უნდა მიეცეთ, სხვანაირად ვერ შევალთო. მოვეთათბირე ქმარს (ეროს), ჰო და...

— მერე მოქალაქეობრივი მოვალეობა, სინდისი? — ეკითხება მოსამართლე ან პროკურორი. — ოჯახი, ოჯახი? — ოჯახი? — ოჯახი? —